GEMA

საქართველოს გარემოსდაცვით მმართველთა ასოციაცია
GEORGIA'S ENVIRONMENTAL MANAGERS ASSOCIATION

საქართველოს გარემოსდაცვით მმართველთა ასოციაცია ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. გარემოსდაცვით მმართველთა ასოციაცია (შემდგომში – „ასოციაცია“) აერთიანებს მის წევრებს, რათა ხელი შეუწყოს საქართველოში მდგრად განვითარებას გარემოსდაცვითი მართვის ეფექტიანი დანერგვის გზით;

1.2. წინამდებარე ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ასოციაციის წევრთა ქცევის, პროფესიული საქმიანობისა და ეთიკური პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს.

1.3. კოდექსის მიზანია:

1.3.1. ერთიანი, პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დამკვიდრება;

1.3.2. „ასოციაციისადმი“ ნდობის გაძლიერება საზოგადოებაში, საჯარო და კერძო სექტორში;

1.3.3. პროფესიული პასუხისმგებლობის, კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

1.3.4. ინტერესთა კონფლიქტების პრევენცია და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ძირითადი პრინციპები

2.1. პროფესიული პასუხისმგებლობა – წევრი მოქმედებს თანმიმდევრულად, ერთიანი ეთიკური პრინციპების დაცვით და გარემოსდაცვითი მიზნების გათვალისწინებით;

2.2. კანონთან შესაბამისობა – წევრი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ვალდებულებებისა და გარემოსდაცვითი რეგულაციების სრული დაცვით;

2.3. მიუკერძოებლობა და ობიექტურობა – გადაწყვეტილებები მიიღება ობიექტური შეფასების საფუძველზე, პირადი ინტერესების გავლენის გარეშე;

2.4. პირადი პატივისცემა და თანასწორობა – წევრი უზრუნველყოფს პატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობას და არ უშვებს დისკრიმინაციას, შევიწროებას ან ძალადობას;

2.5.კონფიდენციალობა – წევრი უზრუნველყოფს ასოციაციის საქმიანობის ფარგლებში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას და არ ახორციელებს მის გამჟღავნებას ან არასათანადო გამოყენებას;

2.6.კეთილსინდისიერება – წევრი მოქმედებს პატიოსნად, უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტესა და სანდოობას და არ იყენებს პროფესიულ პოზიციას პირადი სარგებლის მიღებისათვის;

2.7. პროფესიული კომპეტენცია – წევრი მუდმივად ზრუნავს საკუთარი ცოდნისა და კვალიფიკაციის განვითარებაზე.

მუხლი 3. წევრის ქცევის სტანდარტები
3.1. წევრი ვალდებულია:
3.1.2. „ასოციაციის“ საქმიანობასთან დაკავშირებით, უზრუნველყოს პროფესიული საქმიანობის ხარისხი და სიზუსტე;
3.1.3. ხელი შეუწყოს ასოციაციის მიზნებისა და პრინციპების განხორციელებას;
3.1.4. საქმიანობაში დაიცვას პროფესიული ეთიკა;
3.1.5. ითანამშრომლოს „ასოციაციის“ სხვა წევრებთან და დაინტერესებულ მხარეებთან პატივისცემით და კეთილსინდისიერად.

მუხლი 4. ინტერესთა კონფლიქტი
4.1. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს, როდესაც წევრის პირადი, ფინანსური ან სხვა ინტერესი შესაძლოა გავლენას ახდენდეს მის პროფესიულ გადაწყვეტილებაზე;
4.2. წევრი ვალდებულია:
4.2.1. თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი;
4.2.2. მისი არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი დროული გამოვლენა;
4.2.3. თავი შეიკავოს იმ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისგან, სადაც არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

მუხლი 5. ინფორმაციის სიზუსტე და კომუნიკაცია
5.1. წევრი უზრუნველყოფს პროფესიული ინფორმაციის სიზუსტეს, სანდოობას და სრულყოფილებას;
5.2. წევრი ვალდებულია:
5.2.1. არ გაავრცელოს მცდარი, არასრული ან მიკერძოებული ინფორმაცია;
5.2.2. კომუნიკაციის პროცესში იმოქმედოს ობიექტურად, მკაფიოდ და კეთილსინდისიერად;
5.2.3. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი საკითხების სწორად გააზრებასა და პასუხისმგებლიან კომუნიკაციას;
5.2.4. არ იმოქმედოს და არ გამოხატოს ასოციაციის პოზიცია ასოციაციის სახელით, შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე.

მუხლი 6. გადაწყვეტილებების მიღება
6.1. ასოციაციასთან დაკავშირებული პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, საჭიროებისამებრ, წევრი იღებს გადაწყვეტილებებს კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სტანდარტების დაცვით;
6.2. წევრი უზრუნველყოფს, რომ მისი პროფესიული შეფასებები იყოს დასაბუთებული და ობიექტური;
6.3. გადაწყვეტილებების მიღება ხდება მხოლოდ პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში, ასოციაციის სახელით წევრი ინდივიდუალურად არ იღებს გადაწყვეტილებებს.

მუხლი 7. ასოციაციის რეპუტაცია
7.1. წევრი ვალდებულია დაიცვას და არ დააზიანოს ასოციაციის რეპუტაცია;
7.2. წევრი თავს იკავებს ისეთი ქმედებებისგან, რომელიც შესაძლოა ზიანს აყენებდეს ასოციაციის სანდოობას ან იმიჯს;
7.3. საჯარო კომუნიკაციაში, მათ შორის სოციალურ ქსელებში, წევრი ვალდებულია დაიცვას ასოციაციის რეპუტაცია და არ მისცეს არასათანადო ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.

მუხლი 8. კოდექსის დარღვევა და რეაგირება

8.1. კოდექსის დარღვევა წარმოადგენს ეთიკური სტანდარტების შეუსრულებლობას;
8.2. დარღვევის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას:
8.2.1. გაფრთხილება;
8.2.2.რეკომენდაცია ქმედების შესაცვლელად;
8.2.3. წევრობის შეწყვეტა (ასოციაციის წესდების შესაბამისად).
8.3. კოდექსის შესაძლო დარღვევის შესახებ ინფორმაციის განხილვა ხორციელდება „ასოციაციის“ გამგეობის მიერ. განხილვის პროცესი სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით არის უზრუნველყოფილი.

მუხლი 9. კონფიდენციალურობა

9.1. ასოციაციის ყველა წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურად „ასოციაციის“ მიერ მომზადებული ნებისმიერი ინფორმაცია და არ გაავრცელოს მესამე პირებზე (გარდა, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციისა), რომელიც მიეწოდება მას ასოციაციის წევრობის, მომსახურებისა ან სხვა აქტივობების ფარგლებში, მათ შორის:

9.1.1. პროფესიული, საინფორმაციო ან საგანმანათლებლო მასალა;
9.1.2. ასოციაციის ფინანსური, ტექნიკური ან ინტელექტუალური რესურსები;

9.2. წევრს აკრძალული აქვს აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება ან გამოყენება ასოციაციის მიერ ნებადართული მიზნების მიღმა;
9.3. კონფიდენციალურობის დარღვევა ჩაითვლება ეთიკის კოდექსის დარღვევად და შეიძლება გამოიწვიოს შესაბამისი დისციპლინარული ან სამართლებრივი პასუხისმგებლობა;
9.4. ასოციაცია უზრუნველყოფს წევრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის დაცვას ტექნიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი ზომებით.

მუხლი 10. კოდექსის მოქმედება და ცვლილება

10.1. ეთიკის კოდექსი ძალაში შედის ასოციაციის გამგეობის მიერ დამტკიცების დღიდან;
10.2. ეთიკის კოდექსი ვრცელდება ასოციაციის ყველა წევრზე მათი საქმიანობის ნებისმიერ ფორმატში.